ოქმი №6

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2026 წლის 22 აპრილს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მ. გვიჩია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის თავმჯდომარე - გ. შომახია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ჯ. ტყებუჩავა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე“;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები - ,,ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე“; ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე“.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილია განკარგულებების პროექტები - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე“; ,,სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე“; სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7; წინააღმდეგი–0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დ. ალანია

3. ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტს საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

4. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტს საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

5. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

6. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

7. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია"

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2026 წლის 29 აპრილს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე"

სხდომის თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა